



**სსიპ შოთა რუსთაველის  
საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდი**

12 დეკემბერი 20 24

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 186

**სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის ჰელმჰოლცის ცენტრის ერთობლივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ**

„სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის ჰელმჰოლცის ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 ივლისის N120/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის ჰელმჰოლცის ცენტრის ერთობლივი საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 6 ნოემბრის N160 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1602389; 12.12.2024) შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. დამკიცდეს სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის ჰელმჰოლცის ცენტრის ერთობლივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები:

N	პროექტის შიფრი	პროექტის სახელმწოდება
1	GHZ-24-052	მონაცემთა შეგროვება(DAQ) SHIP SBT-ში / Data acquisition(DAQ) in SHIP SBT
2	GHZ-24-048	ტურბულენტობის დინამიკა, კოჰერენტული სტრუქტურები და მაგნიტური დინამო მაგნიტოჰიდროდინამიკურ წანაცვლებით დინებებში - არაწრფივი პროცესების სპეციფიური ანიზოტროპია და შენარჩუნების მექანიზმები / Dynamics of turbulence, coherent structures and magnetic dynamo in MHD shear flows - specific anisotropy of nonlinear processes and sustenance mechanisms

3	GHZ-24-047	ასტროფიზიკური დისკების მაგნეტოჰიდროდინამიკური სიმულაციები კომპლექსური მაგნიტური ველებით, მაგნიტური დინამო და გავლენა ჯეტის დინამიკაზე / MHD simulations of astrophysical disks with complex magnetic fields, magnetic dynamo and consequences on jet dynamics
4	GHZ-24-029	გვიანი სტადიის რადიომარკირება სელენ 75/73-ით სელენ-აქცეპტორული ქიმიის გამოყენებით / Late-Stage radiolabeling with 75/73 Selenium by Selenium acceptor chemistry

2. გამარჯვებული პროექტის ავტორმა არაუგვიანეს 2024 წლის 16 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის კანცელარიაში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) მოწვევის წერილის ორიგინალი;

ბ) საგრანტო პროექტი და ცენტრში განსახორციელებელი სამეცნიერო კვლევის გეგმის ორიგინალი;

გ) მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი.

3. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის ავტორთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2024 წლის 25 დეკემბრისა.

4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.

5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

*თ. დოჭვირი*